



1085/3-113/22 2 09022022



1085/3-113/22
09-02-2022

საქართველოს იუსტიციის მინისტრს
რატი ბრეგაძეს

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის პირველი პუნქტით და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტით მონიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

გთხოვთ, მომაწოდოთ დღევანდელი მონაცემებით რამდენი მსჯავრდებულია განთავსებული სამედიცინო დაწესებულებებში და გადის მკურნალობის კურსს. (გთხოვთ აღნიშნული ინფორმაცია მომაწოდოთ შემდეგი სახით, სამედიცინო დაწესებულების დასახელება და მათში განთავსებულ პატიმართა რაოდენობა).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა წითლიძე



საქართველოს იუსტიციის მინისტრი

საქართველო, ქ. თბილისი, 0114, გორგასლის ქ.24 ა. ტელ.: 2 40-51-48, 2 40-58-36; ელ.ფოსტა: info@justice.gov.ge



KA010197653636722

№2013

17 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს,
ქალბატონ ანა წითლიძეს


ქალბატონო ანა,

საქართველოს იუსტიციის სამინისტროში წარმოდგენილი თქვენი № 1085/3-113/22 მომართვის პასუხად, რომლის თანახმადაც მოთხოვნილია სტატისტიკური მონაცემები სამედიცინო დაწესებულებაში განთავსებული მსჯავრდებულების შესახებ, დანართის სახით გიგზავნით სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპეციალური პენიტენციური სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართი: 1 (ერთი) ფაილი (PDF)

პატივისცემით,

მინისტრი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

რატი ბრეგაძე



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სპეციალური პენიტენციური სამსახური

THE MINISTRY OF JUSTICE OF GEORGIA
SPECIAL PENITENTIARY SERVICE



KA010191016828922

0186, ქ. თბილისი ზურაბ ანჯაფარიძის ქ. N27, საქართველო
N27, Zurab Anjaparidze str, Tbilisi, 0186, Georgia, www.sps.gov.ge
ტელ./Tel.:(995 32) 2312734

№44060/01

16 / თებერვალი / 2022 წ.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს
ადმინისტრაციის დეპარტამენტის უფროსს,
ქალბატონ მანანა ბეგიაშვილს

ქალბატონო მანანა,

სპეციალური პენიტენციური სამსახურის სამედიცინო დეპარტამენტში შემოსული, საქართველოს პარლამენტის წევრის ანა წითლიძის № 1085/3-113/22 (დეპარტამენტში შემოსული 09.02.2022წ. № 01/39054) წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 11 თებერვლის მდგომარეობით, N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებასა და სამოქალაქო სექტორის კლინიკებში განთავსებული იყო სულ 206 პაციენტი, მათ შორის:

- N18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულება - 133 პაციენტი;
- შპს „ვიგამედი“ - 39 პაციენტი;
- შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ - 6 პაციენტი;
- შპს „ნიუ ჰოსპიტალსი“ - 1 პაციენტი;
- შპს „აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“ - 27 პაციენტი;

პატივისცემით,

სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერა/
შტამგადასმულია
ელექტრონულად

თამთა დემურიშვილი